ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**გ-29. 29223542**
თარიღი:**20/12/2022**

„თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლებში ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის Nგ-29.29220773 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 61ე მუხლის მე-2 ნაწილის; ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63 მუხლის შესაბამისად და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2022 წლის 16 დეკემბრის N 28-282235094 წერილის საფუძველზე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება „თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლებში ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის Nგ-29.29220773 განკარგულების პირველ მუხლში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„ **მუხლი 1**. დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლებში ,,სოფლის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხა დანართის შესაბამისად;“

მუხლი 2. განკარგულება შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში კანონით დადგენილი წესით (მისამართი: ქ. ზესტაფონი, ნერეთლის ქ. #7) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM